ეთიკის კომისიის

რეკომენდაცია

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.10.22

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 016/22

შეკითხვის ავტორი: ადვოკატი

I შეკითხვა:

როდესაც ადვოკატი შეიტყობს, რომ მოწინააღმდეგის ადვოკატთან მის კლიენტს ჰქონდა გარკვეული კომუნიკაცია მანამ, სანამ მასთან გააფორმებდა მომსახურების ხელშეკრულებას და დაიწყებდა საქმის წარმოებას სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში ადვოკატს აქვს თუ არა უფლება კლიენტს მოსთხოვოს მოწინააღმდეგე ადვოკატთან მიმოწერის ჩვენება შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის მიზნით? ასეთ შემთხვევაში ხომ არ ირღვევა კონფიდენციალურობის, კოლეგიალურობის ან სხვა ეთიკური ნორმა?

იმ შემთხვევაში თუ მსგავსი მიმოწერა თავად აჩვენა კლიენტმა ადვოკატს, აღნიშნულ შემთხვევაში ხომ არ არღვევს ის საიდუმლოების ან კოლეგიალობის ან/და სხვა ეთიკურ ნორმებს?

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა კონსულტაცია გაუწია ადვოკატის კლიენტს და ეს ადვოკატი აცნობებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტზე და სთხოვს საქმის აცილებას (უარის თქმას) ამით ხომ არ ირღვევა კოლეგიალობის პრინციპი და ხომ არ ხდება ადვოკატის საქმიანობაში უნებართვო ჩარევა?

II ანალიზი:

შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია შეკითხვის ავტორი ადვოკატის მხრიდან კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და კოლეგიალობის პრინციპის დაცვის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში: ეთიკის კოდექსი), მუხლი 4).

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად (ადოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა), ეთიკის კოდექსი , მუხლი 4.2).

ადვოკატმა უნდა გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც კლიენტისაგან ან მის საქმეზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას ეხება ანუ ეს არის სრულიად გონივრული მოლოდინი კლიენტის მხრიდან, რომელიც ადვოკატს სწორედ იმიტომ უმხელს მისთვის ყველაზე სათუთ, შესაძლოა მტკივნეულ, მორალურად მძიმე, საზოგადოების მხრიდან გასაკიცხ ინფორმაციას, რომ ადვოკატისაგან ელოდება დახმარებას, სამართლებრივი გამოსავლის მოძებნას, მოსალოდნელი შედეგიდან, კანონიერების პრინციპის დაცვით, მისთვის ყველაზე უფრო მისაღები მიზნის მისაღწევად პროფესიულ თანადგომას (ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, ,,ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“, ევროკავშირის პროექტი ,,სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 26).

კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება ადვოკატის ქცევის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული მომწესრიგებელი აქტების შესაბამისად. ამიტომ, ადვოკატი ვალდებულია მისი ქმედებები, მათ შორის კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევა ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარება განახორციელოს ისე, რომ არ გაასაჯაროვოს კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კლიენტი ადვოკატს ამ ინფორმაციას აწვდის არსებული თანამშრომლობისა და ნდობის გამო. შესაბამისად, ადვოკატმა საკუთარი მოქმედებით უნდა გაამართლოს კლიენტის ნდობა (წერილობითი რეკომენდაცია 007/15, 20 ოქტომბერი 2015 წელი).

ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეუთანხმებლად არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომლის გამოყენებაც კლიენტს პირდაპირ არ აუკრძალავს, თუნდაც ეს ინფორმაცია სხვა წყაროდან იყოს მოპოვებული და ადვოკატის დამოუკიდებელი პროფესიული განსჯით კლიენტის ინტერესებს ემსახურებოდეს. ადვოკატმა ნებისმიერი წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია უპირველესად კლიენტს უნდა აცნობოს და შეუთანხმოს მას, რადგან კლიენტი ენდობა ადვოკატს და მის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის მაღალ სტანდარტს (წერილობითი რეკომენდაცია 007/14, 26 სექტემბერი, 2014 წელი).

პროფესიის კორპორაციული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას, მათი კლიენტების სასარგებლოდ, სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით.

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობას და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 086/14, 18 დეკემბერი 2014 წელი).

კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების მიმართ პატივისცემას, პროფესიული ღირსების დაცვასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს თავისუფლად, ღირსეულად, კანონისა და ეთიკის წესების შესაბამისად. ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა პატივი სცეს თავის კოლეგას (ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, ,,ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ", ევროკავშირის პროექტი ,,სისხლის სამართლის მხარდაჭერა საქართველოში", თბილისი 2013, გვ. 122).

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაფუძნებულია ნდობის პრინციპზე. შესაბამისად, ადვოკატი კლიენტისაგან ყოველთვის იღებს კონფიდენციალურ ინფორმაციას, მათ შორის ადვოკატს კლიენტი აძლევს საქმის მასალებზე წვდომის უფლებას, თავის მხრივ, ადვოკატი ვალდებულია კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია დაიცვას კონფიდენციალურად; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი თანახმაა კონკრეტული ინფორმაცია ადვოკატმა გამოიყენოს საქმის წარმოების მიზნებისათვის ან გახადოს საჯარო.

მოცემულ შემთხვევაში შეკითხვის ავტორი უშვებს, რომ მის კლიენტს სავარაუდოდ ჰქონდა კომუნიკაცია ამჟამად დავაში მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან, რომელმაც შესაძლოა გაუწია კონსულტაცია, რა დროსაც შესაძლოა მისგან მიიღო ისეთი სახის ინფორმაცია, რომელსაც ამჟამად იყენებს/მომავალში შეუძლია გამოიყენოს ადვოკატის კლიენტის წინააღმდეგ. ადვოკატს აქვს უფლება კლიენტს სთხოვოს კომუნიკაციის ამსახველი მიმოწერის ჩვენება; თავის მხრივ, კლიენტი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს - მის პირად მიმოწერას სხვა პირთან, გააცნობს თუ არა თავის ადვოკატს.

იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ადვოკატის კლიენტს კონსულტაცია გაუწია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა იგივე საქმეში, სადაც ამჟამად წარმოადგენენ მხარეებს, კლიენტის თანხმობით, ადვოკატს უფლება აქვს მიუთითოს კოლეგას შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. პატივისცემითა და ეთიკური ნორმების დაცვით კომუნიკაციისას, სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფაქტზე მითითება, შეკითხვის ავტორის კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩაითვლება კოლეგიალურ ქმედებად.

III დასკვნა:

ადვოკატი არ დაარღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს, თუ ის კლიენტისგან მოითხოვს იმ ინფორმაციის მიღებას, რომელიც ეხება მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან კომუნიკაციას და ამ კომუნიკაციის შინაარსს.

მეორეს მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისაგან ინფორმაციის მიღების შემდეგ, ადვოკატი მიიჩნევს, რომ მის კოლეგას შესაძლოა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, კლიენტის თანხმობით, კოლეგისათვის ამ ფაქტზე მითითებით, ადვოკატი არ დაარღვევს კოლეგიალობისა და კლიენტის ინფორმაციის დაცვის ეთიკურ ვალდებულებას.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/